ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში (EU IPSC)

ევროპული გამოცდილება შესაფუთი მასალების სექტორში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების მოდელის შესახებ

გამოცდილების გაზიარება და დისკუსიის ანგარიში

10 | 2020

ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში

(EU IPSC)

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

ევროპული გამოცდილება შესაფუთი მასალების სექტორში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების მოდელის შესახებ

გამოცდილების გაზიარება და დისკუსიის ანგარიში

2020 წლის
ოქტომბერი

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

ეს დისკუსიის ანგარიში შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარებისპროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

ავტორი: ეკატერინე ოთარაშვილი

სარჩევი

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპი და მისი დანერგვა საქართველოში	5
ევროპული გამოცდილების გაზიარება შესაფუთი მასალების სექტორში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის მოდელის შესახებ - სამუშაო შეხვედრა	7
დისკუსია განსაკუთრებული ინტერესის შემცველ საკითხებზე	9
შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხებისა და დისკუსიის შეჯამება	11
პროექტის შესახებ	16

1

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპი და მისი დანერგვა საქართველოში

შეფუთვისა და შესაფუთი მასალების მწარმოებლები და იმპორტიორები უახლოეს მომავალში ვალდებულნი იქნებიან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ შეფუთვის ნარჩენების მართვაში. ეს ვალდებულება გამომდინარეობს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) პრინციპიდან, რომლის დანერგვა საქართველოში უკვე დაწყებულია. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR-Extended Producer Responsibility) *წარმოადგენს გარემოსდაცვით მიდგომას*, რომელიც მოიცავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას საკუთარ პროდუქტზე ამ პროდუქტის მოხმარების შემდგომ ეტაპზეც, პროდუქტის სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. შეფუთვის ნარჩენებთან დაკავშირებით მგვ პრინციპის დანერგვა გათვალისწინებულია ნარჩენების მართვის კოდექსსა და ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიაში. ამასთან ერთად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებასა და ასოცირების დღის წესრიგის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველომ უნდა განახორციელოს ნარჩენების მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რომელშიც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სპეციფიკური ნარჩენები, მათ შორის შეფუთვის ნარჩენებიც და მათი კომპონენტები ხშირად სახიფათო ნივთიერებების შემცველია და მათი არასათანადო მართვა და გარემოში ან ნაგავსაყრელებზე განთავსება იწვევს მნიშვნელოვან დაბინძურებას, ხოლო შესაბამისი სტანდარტების დაცვის გარეშე დამუშავება - ამ საქმიანობაში ჩართული ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანებას და სახიფათო ნივთიერებების გარემოში, მათ შორის წყალსა და ნიადაგში მოხვედრას. მგვ-ს მიდგომა ფართოდ და ეფექტიანად გამოიყენება ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში და უზრუნველყოფს სპეციფიკური ნარჩენების ხელახალი გამოყენების, აღდგენის და რეციკლირების სისტემის გამართულ მუშაობას. ამასთან, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება მიჩნეულია მთავარ ფინანსურ-სამოქმედო ინსტრუმენტად, რომელიც ხელს უწყობს რესურსდამზოგავი ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას და ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას. იგი აღიარებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად ნარჩენების მართვის სფეროში. საქართველოში შეფუთვის ნარჩენებისთვის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ამოქმედებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები ასახულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ შეფუთვის ნარჩენების მართვის ტექნიკურ რეგლამენტში, რომელიც უახლოეს მომავალში წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად. ტექნიკური რეგლამენტის პროექტი განსაზღვრავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ წესებსა და მოთხოვნებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული სამრეწველო, კომერციული, საოფისე, სავაჭრო, მომსახურების, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის შეფუთვის მიმართ. მომავალი რეგულაციების ჯეროვნად აღსრულების მიზნით, უმნიშვნელოვანესია იმ მწარმოებლებთან თანამშრომლობა, რომლებთაც უშუალოდ შეეხება კანონმდებლობის ახალი მოთხოვნები. მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, *მგვ მოთხოვნები უწესდება* ფიზიკურ ან იურიდიული პირებს, გარდა მიკრო და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი სტატუსის ბისზნესის მქონე პირებისა, რომლებიც:

ა) თავად, ან სხვისი საშუალებით, ფუთავენ პროდუქტს, საქართველოს ბაზარზე განთავსების მიზნით,

ბ) ახორციელებენ შეფუთული პროდუქტის იმპორტს, საქართველოს ბაზარზე მისი განთავსების მიზნით (ბაზარზე განთავსებად არ ითვლება იმპორტირებული პროდუქტის ექსპორტი, თუ ექსპორტი დასტურდება საბაჟო დეკლარაციით),

გ) აწარმოებენ შეფუთვას ან ახორციელებენ მის იმპორტს, საქართველოს ბაზარზე მისი განთავსების მიზნით.

მგვ-ს დაქვემდებარებული მწარმოებლების/იმპორტიორების უმთავრეს ვალდებულებად მოიაზრება შესაბამისი მგვ ორგანიზაციის დაარსება ან ასეთ ორგანიზაციაში წევრობა.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაცია არის მწარმოებლების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე შესაბამის ავტორიზებულ ობიექტზე, ამ ნარჩენის აღდგენის (მათ შორის რეციკლირების) მიზნით. მგვ ორგანიზაციაში წევრობა ითვალისწინებს რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდის ვალდებულებასაც. მუშაობის დაწყებამდე მგვ ორგა-ნიზაციამ უნდა მიიღოს ავტორიზაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან.

2

ევროპული გამოცდილების გაზიარება შესაფუთი მასალების სექტორში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის მოდელის შესახებ

სამუშაო შეხვედრა

ვინაიდან მგვ პრინციპი სრულიად ახალია საქართველოსთვის და მისი დანერგვა მნიშვნელოვან ვალდებულებებთან არის დაკავშირებული, ბუნებრივია მწარმოებლების განსაკუთრებული დაინტერესება. უპირატესად ეს დაინტერესება შეეხება მგვ ორგანიზაციის დაფუძნებისა და მასში წევრობის საკითხებს, როგორც პირველი რიგის განსახორციელებელ საქმიანობასა და მნიშვნელოვან გამოწვევას. სწორედ ამ გამომწვევის საპასუხოდ დაიგეგმა და 21 ოქტომბერს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა "ევროპული გამოცდილების გაზიარება შესაფუთი მასალების სექტორში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის მოდელის შესახებ". შეხვედრა გაიმართა ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი ინიციატივის „ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისათვის საქართველოში" ფარგლებში. შეფუთვისა და შესაფუთი მასალების წარმოებაში ჩართული ორგანიზაციების მხარდაჭერა ინიციატივის ერთ-ერთ საპილოტე მიმართულებას წარმოადგენს და გულისხმობს ამ ორგანიზაციების დახმარებას კლასტერული კოორდინირების, მარკეტინგის, ინოვაციების, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის გაძლიერების კუთხით.

სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა შეფუთვისა და შესაფუთი მასალების სექტორში მოღვაწე ქართველი მეწარმეებისთვის შესაძლებლობის მიცემა, მოესმინათ ევროპაში წარმატებული მგვ ორგანიზაციების წარმომადგენლების პრეზენტაციები, და მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. გარდა ბიზნეს სექტორისა, შეხვედრას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებიც. სწორედ ამ უწყებას ეკისრება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემისა და მგვ ორგანიზაციების ზედამხედველობა და კონტროლი. ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მგვ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ირლანდიიდან და ბელგიიდან.

- ტონი ო'სალივანი და შეიმუს ქლანსი, REPAK ირლანდია
- აურელია ლიუ, FostPlus - ბელგია
- მონიკა რომენსკა, EXPRA - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ალიანსი
- ლუკ პალმენი, გაეროს განვითარების პროგრამის საერთაშორისო კონსულტანტი, შეხვედრის მოდერატორი

„განსაკუთრებით მისასალმებელია პროექტის ინიციატივა, მოხდეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი მგვ ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება. დღევანდელ შეხვედრაზე მოწვეულნი არიან მგვ ორგანიზაციების წარმომადგენლები ირლანდიიდან და ბელგიიდან. ასევე, ძალიან საინტერესოა ევროპის მგვ ორგანიზაციების ასოციაციასთან თანამშრომლობის პერსპექტივები. სამინისტრო მხარს უჭერს მეტი ევროპული გამოცდილების გაზიარებას საქართველოში. საინტერესოა შემოთავაზებული დისკუსიის ფორმატიც, სადაც სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ მოისმინონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. მადლობა ევროკავშირს და გაეროს განვითარების პროგრამას მათი ხელშეწყობისთვის და მხარდაჭერისთვის მთელს ამ პროცესში" - მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა, რომელიც ესწრებოდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეხვედრაში.

შეხვედრის დასაწყისში ლუკ პალმენმა განმარტა თუ რატომ შეარჩიეს ირლანდია, ბელგია და მგვ ორგანიზაციების ალიანსი. ირლანდიური გამოცდილება საინტერესოა საქართველოსთვის ვინაიდან ეს ორი ქვეყანა მოსახლეობის რაოდენობისა და ტერიტორიის ფართობის მიხედვით მსგავსია. ამასთან, ირლანდიაში არის როგორც დიდი ქალაქები, აგრეთვე ბევრი პატარა სოფელიც. ბელგია ითვლება ყველაზე წარმატებულ ქვეყანად ნარჩენების მართვის კუთხით, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელების კუთხითაც და ამ მიმართულებით საუკეთესო შედეგები აქვს.

შეხვედრაზე ევროპული მგვ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიაწოდეს მონაწილეებს ინფორმაცია თავიანთი ორგანიზაციების შესახებ. პრეზენტაციების სლაიდები დაეგზავნათ მონაწილეებს. დაინტე-რესების შემთხვევაში პრეზენტაციის სლაიდების გამოთხოვნა შესაძლებელია პროექტიდან: https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/projects/PrivateSector.html

3

დისკუსია განსაკუთრებული ინტერესის შემცველ საკითხებზე

შეხვედრის დაწყებამდე, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოემზადებინათ და ორგანიზა-ტორებისთვის გაეგზავნათ მათთვის საინტერესო შეკითხვები. შესაბამისად, ევროპული მგვ ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეეძლოთ წინასწარ მოემზადებინათ ამომწურავი პასუხები. შეხვედრის მიმდინარეობის პროცესში აგრეთვე იყო შესაძლებელი შეკითხვების დასმა.

ქვემოთ ჩამოთვლილია შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული შეკითხვები:

- ვის ეკუთვნის ნარჩენები? როგორ ხდება ნარჩენების ფლობის რეგულირება?
- როგორ უნდა დაითვალოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციამ კომპანიების მიერ წლიურად გადასახდელი თანხა? როგორ უნდა გამოითვალოს კომპანიის „საბაზრო წილი“ წლიური გადასახადის დასადგენად? კიდევ რა ინდიკატორების გათვალისწინება უნდა მოხდეს გადასახადის გამოსათვლელად (მაგალითად: შესაფუთი მასალების შემადგენლობა, ბაზარზე კონკრეტული მასალების მოთხოვნის პროგნოზი, კონკრეტული მასალების სეპარაციის ხარჯი....)?
- რა ტიპის ICT სისტემებია უზრუნველყოფილი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის მართვისთვის?
- როგორ გამოითვლება გადამუშავების მიზნების მიღწევა? ეყრდნობა თუ არა ეს სორტირების/ გადამამუშავებელ საწარმოში შესული თუ გამოსული მასალის რაოდენობის მონაცემებს?
- როგორ გამოითვლება ოდენობა რომელიც უნდა შეგროვდეს, გადამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად?
- როგორ თანამშრომლობს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაცია ქალაქებთან? როგორ უნდა მოხდეს მგვ ორგანიზაციისა და მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობების ურთიერთ-გადაფარვის თავიდან არიდება? როგორ უნდა იქნას თავიდან აცილებული კონკურენცია ნარჩენების ნაკადებისთვის?
- რომელი პოლიტიკა უფრო ეფექტურია: წყაროსთან სეპარირება თუ სორტირების საწარმოში გადარჩევა?
- რა ხდება შერეულ შეფუთვასთან დაკავშირებით? როგორ ხდება მათი გადარჩევა, სეპარირება, გადამუშავება?
- არის თუ არა მიწისქვეშა კონტეინერები ეფექტური და ეფექტიანი? ზოგადად მათ იყენებენ თუ რაიმე სხვა ტიპის კონტეინერის არჩევა სჯობს?

4

შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხებისა და დისკუსიის შეჯამება

შეჯამებაში წარმოდგენილია ძირითადად ის საკითხები, რომლების გარშემოც წარმოიშვა დისკუსია. მოწვეული ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სრულად მათ პრეზენტაციებში, რომლებიც დაეგზავნა შეხვედრის მონაწილეებს.

ამდენი მგვ ორგანიზაცია მუშაობს შეფუთვის ნარჩენების მართვაზე? ეს არის ეთი ან ამდენიმე მგვ ორგანიზაციის არსებობის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

REPAK არის შეფუთვების ნარჩენების მართვის ერთადერთი ორგანიზაცია ირლანდიაში. იგი აფინანსებს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას და რეციკლირების ცენტრებში გადამუშავებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ირლანდიური REPAK-ის წარმომადგენლის, შეიმუს ქლანსის რჩევაა საქართველოსთვის მხოლოდ ერთი მგვ ორგანიზაციის დაარსება და ერთიანი ნარჩენების შეგროვების სისტემის ჩამოყალიბება ქვეყანაში ყველა სექტორიდან წარმოშობილი შეფუთვის ნარჩენების სამართავად.

ბელგიური FostPlus აგრეთვე ერთადერთი მგვ ორგანიზაციაა, რომელიც ბელგიაში არსებულ სამივე რეგიონში ფუნქციონირებს შეფუთვის ნარჩენების მართვის მიზნით. შესაბამისად, ყველგან გამოიყენება შეგროვების "ერთიანი სცენარი", რასაც მრავალი უპირატესობა გააჩნია. უპირველეს ყოვლისა ასეთი უნიფიცირებული სცენარის გამოყენებისას, სორტირებისა და რეციკლირების ოფიექტებზე ერთნაირი ნაკადები შედის, რაც უფრო ხარჯეფექტურს ხდის მთელ სისტემას.

ეთი და იგივე ორგანიზაცია მართავს მოსახლეობის მიერ და ბიზნეს სექტორის მიერ წარმოქმნილ შეფუთვის ნარჩენებს?

ირლანდიაში REPAK ახორციელებს როგორც მოსახლეობიდან, ასევე ბიზნეს სექტორიდან წარმოქმნილი შეფუთვის ნარჩენების მართვას. REPAK-ისგან განსხვავებით, FostPlus მხოლოდ მოსახლეობის მიერ წარმოქმნილ შეფუთვის ნარჩენებზე არის პასუხისმგებელი.

ვის ეკუთვნის ნარჩენები? როგორ ხდება ნარჩენების ფლობის რეგულირება?

ბელგიაში შეგროვებული შეფუთვის ნარჩენები წარმოადგენს FostPlus-ის საკუთრებას. ის ხელშეკრულებას უდებს სორტირების ცენტრებს. FostPlus-ის წარმომადგენლის, აურელია ლიუს მოსაზრებით ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მგვ ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს თავად მიიღოს გადაწყვეტილება თუ სად და რა სახის რეციკლირება განახორციელოს, რა სახის მასალა მიიღოს და რა ფასად გაყიდოს რეციკლირებული მასალა.

რაც შეეხება REPAK-ს, ის არ ფლობს ნარჩენებს. ნარჩენები ეკუთვნის შემგროვებელ ორგანიზაციას, რომელსაც REPAK-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უფლება აქვს მოახდინოს შეგროვებული მასალების რეალიზაცია. ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი კონტრაქტებში და გამჭვირვალედ აღირიცხება. ზოგადად, მსოფლიოში მოქმედი მგვ ორგანიზაციების ორი ძირითადი მოდელი არსებობს: ფინანსური ან საოპერაციო. REPAK ფინანსურ მოდელს წარმოადგენს. ის უზრუნველყოფს ფინანსურ რესურსებს, ხოლო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საოპერაციო საქმიანობას მისი კონტრაქტორები ახორციელებენ. ორივე მოდელი შეიძლება იყოს წარმატებული, და ამის მაგალითები არის ევროპაში. თავად ქვეყნის გადასაწყვეტია, როგორი მოდელის სისტემას ჩამოაყალიბებს. იმ შემთხვევაში, თუ მგვ ორგანიზაცია ჩართული იქნება ნარჩენების მართვის მთელ ჯაჭვში და არა მხოლოდ ფინანსური რესურსის შეგროვებამოძიებაში, მაშინ მნიშვნელოვანია რომ ნარჩენი იყოს მგვ ორგანიზაციის საკუთრება.

როგორია მგვ ორგანიზაციების უთიერთობა მუნიციპალიტეტებთან?

ირლანდიური REPAK ნარჩენების შეგროვებას ახორციელებს არა მუნიციპალიტეტებთან, არამედ კომერციულ ორგანიზაციებთან გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე.

ბელგიურ FostPlus-ს გაფორმებული აქვს კონტრაქტები ბელგიაში არსებულ თითოეულ (სულ 36) მუნიციპალიტეტების გაერთიანებასთან ანუ ინტერ-მუნიციპალიტეტთან. ზოგადად, შეფუთვის ნარჩენებთან დაკავშირებული საკითხები ბელგიაში ფედერალური დაქვემდებარების არ არის და რეგიონების კომპეტენციას განეკუთვნება (სულ სამი რეგიონია). თითოეულ რეგიონს აქვს თავისი შესაბამისი სამინისტრო. მიუხედავად ამისა, გადაწყდა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, მგვ სისტემის ჰარმონიზებული მუშაობისთვის კომპეტენტურ ორგანოდ წარმოდგენილი ყოფილიყო ერთიანი ინტერ-რეგიონალური საბჭო. სწორედ ეს საბჭო არის პასუხისმგებელი მგვ ორგანიზაციების აკრედიტაციაზე. 5 წლიანი აკრედიტაციის პროცესს თან ახლავს ქვეყნის 36 ინტერ-მუნიციპალიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება (აგრეთვე 5 წლიანი). კონტრაქტებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტების ვალდებულება შეაგროვონ შეფუთვის ნარჩენები მგვ ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა ნაკადისთვის დადგენილი "შეგროვების სცენარების" მიხედვით, რასაც სრულად აფინანსებს FostPlus. თუ მუნიციპალიტეტი განსხვავებულ სცენარს მიანიჭებს უპირატესობას, ეს საკუთარი ხარჯით უნდა განახორციელოს. თუ მუნიციპალიტეტი გადაწყვეტს, რომ შეგროვება-ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კონკრეტული საქმიანობები გადასცეს კერძო კონტრაქტორს, მაშინ მგვ ორგანიზაცია ამ კონტრაქტორთანაც გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას. თითოეულ კონტრაქტს წინ უძღვის განჭვირვალე საჯარო სატენდერო პროცედურები.

შესაფუთი მასალების მწარმოებელთა გაერთიანება "ჯორჯიან პლიუს"-ის წარმომადგენლის ინფორმაციით, საქართველოში შეფუთვის ნარჩენების მარეგულირებელი ნორმატიული აქტის მიღება ფერხდება, ვინაიდან თბილისის მუნიციპალიტეტს გააჩნია მოლოდინი, რომ მწარმოებლების მიერ გადახდილი რეციკლირების შენატანის გამოყენებით მუნიციპალიტეტი თავად განახორციელებს შეფუთვის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას. მწარმოებლებისთვის ეს მიდგომა მიუღებელია, ვინაიდან ეჭვის ქვეშ აყენებს ხარჯეფექტურობას. ირლანდიური და ბელგიური მგვ ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებით, ასეთი სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხარჯეფექტურ მიდგომას. შესაძლებელია მკაცრი და რეგულაციებში გაწერილი სახელმძღვანელო მოთხოვნების დაწესება ხარჯეფექტურობასთან დაკავშირებით, თუმცა გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, სადაც მუნიციპალიტეტები ეცდებოდნენ მაქსიმალურად ხარჯეფექტურად განეხორციელებინათ ნარჩენების შეგროვება-გადამუშავების საქმიანობა, რითაც კონკურენტულ უპირატესობაში აღმოჩნდებოდნენ კერძო კომპანიებთან. მაგალითად ბელგიაში, ბრიუსელის მუნიციპალიტეტი მრავალი წლის განმავლობაში იყო პრობლემური, ვინაიდან ვერ უზრუნველყოფდა ხარჯეფექტურობას და იძულებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თავად დაეფარა გაწეული ხარჯების ნაწილი.

EXPRA-ს წარმომადგენლის ინფორმაციით ევროკავშირში მუშავდება სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ხარჯების გამოთვლის პროცედურა.

როგორ მოხდა მგვ ორგანიზაციების ჩამოყალიბება?

მგვ ორგანიზაციების ჩამოყალიბება განაპირობა ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ძალაში შესვლამ და გადამუშავების კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებლების შემოღებამ. ირლანდიაში REPAK-ის შექმნის ინიციატორი იყო უკვე არსებული ასოციაცია, რომელშიც შედიოდნენ შესაბამისი ინდუსტრიის წარმომადგენლები. მნიშვნელოვანი იყო სამინისტროს როლიც, რომელმაც მოითხოვა ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბება და შემდეგ უშუალო დახმარება აღმოუჩინა მას. ორგანიზაციის მოდელის განსაზღვრის მიზნით, განხილულ იქნა სხვა ქვეყნების გამოცდილებაც.

როგორ უნდა დაითვალოს მგვ ორგანიზაციამ წევრი კომპანიების მიერ წლიურად გადასახდელი თანხა?

საქართველოში მოქმედი და აგრეთვე შემუშავების პროცესში არსებული რეგულაციების შესაბამისად, თითოეული მგვ ორგანიზაცია თავის წევრ მწარმოებლებს განუსაზღვრავს რეციკლირების წინასწარი შენატანის ოდენობას. რეციკლირების წინასწარი შენატანი გამოითვლება მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ბაზრის წილის შესაბამისად და ის საკმარისი უნდა იყოს შემდეგი ხარჯების დასაფარად:

- ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების ხარჯები, ნარჩენების ხელახალი გამოყენებით, მეორადი ნედლეულის რეალიზაციითა და დაუბრუნებელი დეპოზიტებით მიღებული შემოსავლის გათვალისწინებით;
- ნარჩენების მფლობელების ინფორმირების ხარჯები;
- მონაცემების შეგროვებისა და ანგარიშგების ხარჯები;
- საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- სარეზერვო ფონდის შექმნის ხარჯები;
- მგვ ორგანიზაციის ადმინისტრაციული ხარჯები.

მგვ ორგანიზაციის დაარსების მომანტისთვის მწარმოებლის შენატანების გამოთვლა რთულია, ვინაიდან არ არსებობს მონაცემები მოსალოდნელი ხარჯების შესაფასებლად. ირლანდიაში, REPAK-ის შექმნის პერიოდისთვის ნარჩენების შეგროვება-რეციკლირებაზე პასუხისმგებელი იყვნენ მუნიციპალიტეტები. შესაბამისად, მონაცემები მოპოვებულ იქნა მუნიციპალიტეტებიდან და აგრეთვე უშუალოდ რეციკლირების ობიექტებიდან. შემდეგ, როდესაც მუნიციპალიტეტები შეცვალეს კერძო კომპანიებმა, მათ მიერ ნარჩენების შეგროვება გაცილებით ხარჯეფექტური გახდა. და ინფორმაციაც ხარჯების შესახებ REPAK-თან დადებული კონტრაქტებში აისახა. აგრეთვე შესაძლებელი გახდა რეციკლირების ობიექტების ხარჯების განსაზღვრაც, რადგან REPAK-ს მათთანაც დადებული ჰქონდა კონტრაქტები. თითოეული მწარმოებლისთვის შენატანის გამოთვლისას მნიშვნელობა აქვს განსხვავებული მასალების ღირებულებასაც. დიდი კომპანიები წელიწადში 2-ჯერ REPAK-ს გადასცემენ დეტალურ ინფორმაციას მათ მიერ ბაზარზე განთავსებული შეფუთვის შესახებ. შესაბამისად გამოითვლება მათი შენატანები და ინვოისები გამოიწერება წელიწადში 2-ჯერ. მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით მგვ ორგანიზაცია ატარებს შერჩევით აუდიტს. დიდი კომპანიების შენატანები შეადგენს REPAK-ის ბიუჯეტის 80%-ს. რაც შეეხება მცირე მწარმოებლებს, მათთვის შემოღებულია ფიქსირებული გადასახადი. გადასახადი შეესაბამება მცირე მწარმოებლების წლიურ ბრუნვას და ზომას.

ბელგიაში მწარმოებლის მიერ საკუთარი პროდუქტის ნარჩენების მართვის მიზნით გადახდილ გადასახადს ეწოდება "green dot fee". მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ასეთი გადასახადი წარმოადგენს "რეციკლირების წინასწარ შენატანს", ანუ გამოითვლება და გადაიხდება წინასწარ, "green dot fee" ეფუძნება ნარჩენების მართვისა და რეციკლირებისთვის რეალურად გაწეულ ხარჯებს. დათვლილია სხვადასხვა სახეობის შეფუთვასთან დაკავშირებული ხარჯები და კონკრეტული მწარმოებისთვის ხდება გადასახადის ოდენობის დაანგარიშება ამ ხარჯების გათვალისწინებით. გადასახადის ოდენობაში გათვალისწინებულია კონკრეტული შუფუთვის გადამუშავების ღირებულება. მაგალითად, მწარმოებელი, რომელიც ბაზარზე განათავსებს ისეთ შეფუთვას, რომლის რეციკლირება/გადამუშავება შეუძლებელია, გადაიხდის ჯარიმას. ანუ ასეთი მწარმოებლის "green dot fee" მეტი იქნება. გამოთვლილია კონკრეტული მასალის კილოგრამზე გადასახდელი ოდენობა. მნიშვნელოვანია, რომ ბელგიაში მწარმოებლებისთვის დადგენილია მეტად დივერსიფიცირებული გადასახადები. მაგალითად, PET-ის ბოთლებისთვის გამოიყენება განსხვავებული ტარიფები - გამჭვირვალე უფერო ბოთლებისთვის; - გამჭვირვალე ცისფერი ბოთლებისთვის, და - სხვა ფერის ბოთლებისთვის.

ᲰᲝᲒᲝᲰ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲛᲬᲐᲰᲛᲝᲔᲑᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲓᲔᲜᲐ, ᲰᲝᲛᲓᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲰᲘᲓᲔᲑᲔᲜ ᲛᲒᲕ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ? Ე.Წ. "free rider"-ᲔᲑᲘᲡ ᲠᲰᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

რაც უფრო ყოფლისმომცველია სისტემა და რაც უფრო მეტი მწარმოებელი მონაწილეობს მასში, მით უფრო წარმატებულია ის. "free rider"- ორგანიზაციების (რომლებიც თავს არიდებენ მგვ სქემაში მონაწილეობას) დიდმა რაოდენობამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მთელი სისტემის მუშაობას. ეს მტკივნეული და პრობლემური საკითხია ყველა ქვეყნისთვის, რომელშიც მგვ სისტემა მოქმედებს. ირლანდიაში ყველა იურიდიული პირი რომლის წლიური ბრუნვა 1მლნ ევროს აჭარბებს და რომელიც მინიმუმ 10 ტონა შეფუთვას ათავსებს ბაზარზე, ვალდებულია გახდეს მგვ ორგანიზაციის წევრი და მონაწილეობა მიიღოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემაში. REPAK-ის შეფასებით, მწარმოებელთა 10%-დან 15%-მდე თავს არიდებს მგვ სქემაში სავალდებულო მონაწილეობას. "free rider"-ების გამოსავლენად REPAK-ი თავადაწარმოებს სხვადასხვა მონაცემთა ბაზების მონიტორინგს, აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან. ირლანდიური რეგულაციების მიხედვით, მგვ კანონმდებლობის აღსრულება ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივაა. სამინისტრო კი ამ პროცესს კოორდინაციას უწევს. კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმებსაც. გარდა ჯარიმისა, გამოვლენილმა ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს წინა წლების გადასახადებიც. მაქსიმუმი შეიძლება იყოს 10 წელიწადი, თუმცა პრაქტიკაში ნაკლებს ახდევინებენ, რადგან მთავარი მიზანია დამრღვევი მწარმოებლების სისტემაში ჩართვა.

ბელგიაში "free rider"-ები 10 % აღწევს და ეს სერიოზულ პრობლემად მოიაზრება. მგვ სისტემაში სავალდებულო მონაწილეობის ზღვარი კომპანიებისთვის ძალიან დაბალია (წელიწადში მინიმუმ 300 კგ შეფუთვის განთავსება ბაზარზე). FostPlus ცდილობს თავად გამოავლინოს დამრღვევი მწარმოებლები და შეატყობინოს სამინისტროს. სამწუხაროდ აღსრულების მექანიზმი არ არის დახვეწილი და სამინისტრო მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებს ასეთი ორგანიზაციების იძულებას. ბელგიაშიც არის გათვალისწინებული წინა 5 წლის "green dot fee"-ის გადახდის ვალდებულება.

EXPRA-ს წარმომადგენლის, მონიკა რომენსკიმ დაადასტურა რომ "free rider"- ის პრობლემა ყველა ქვეყნისთვის არის აქტუალური. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში თავიდანვე ნათლად ჩამოყალიბდეს მონიტორინგის პროცესი და სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების თანამშრომლობა ამ მიმართულებით. აგრეთვე, საინტერესოა რომ იმ ქვეყნებში, სადაც ერთზე მეტი მგვ ორგანიზაცია მოღვაწეობს, "free rider" მეწარმეების რიცხვი მეტია.

ᲰᲝᲛᲔᲦᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲣᲤᲘᲠᲝ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲐ: ᲡᲔᲞᲐᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲗᲣ ᲡᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲨᲘ?

„ირლანდიაში ყველა რეციკლირებადი შეფუთვის ნარჩენი ერთად გროვდება და შემდეგ ხდება მათი გადარჩევა
სორტირების ცენტრებში.

ბელგიაშიც რეციკლირებადი შეფუთვის ნარჩენები გროვდება ერთად ე.წ. "ლურჯ პარკებში". მოხდება თუ არა სხვადასხვა მასალის ნარჩენების ერთად შეგროვება, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შესაძლებლობები არსებობს ადგილობრივად სორტირებისა და რეციკლირების ცენტრებში. თუმცა ბელგიაში წყაროსთან სეპარირება ძალიან მნიშვნელოვნად მოიაზრება, ვინაიდან მოსახლეობის ცნობიერების გაზრდასაც ემსახურება.

პროექტის შესახებ

„ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში“ ევროკავშირისა და გაეროს ოთხი სააგენტოს ერთობლივი ინიციატივაა, რომლის განხორციელებაში მონაწილეობენ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM). ინიციატივა ეხმიანება „საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების 2017 წლის სამოქმედო პროგრამას“ და პასუხობს პროგრამის სამი კომპონენტიდან ერთს: ბიზნესის განვითარების გაძლიერება.

ინიციატივა თანამშრომლობს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან, და კერძო სექტორის განვითარებაში ჩართულ ან მასთან დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეებთან - საწარმოებსა და მეწარმეებთან, საერთო და დარგობრივ ბიზნეს ასოციაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიული ასოციაციებსა და სავაჭრო გაერთიანებებთან.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ განხორციელებული მოსალოდნელი შედეგები:

- შეფუთვის სექტორში საპილოტე კლასტერის განვითარება ღირებულების ჯაჭვების წასახალისებლად;
- კომპანიებში და/ან პროექტებში სტრატეგიული ინვესტიციების მხარდაჭერა კლასტერების გასავითარებლად.